



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### მთანმინდა

მთანმინდა, მწვერვალი დუშეთის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს მთიულეთის ქედის ჩრდ.-აღმ-ით ვიწრო, მოგლუვებულ თხემზე, თეთრი და შავი არაგვის ხეობებს შორის (იხ. სტ-ები მთიულეთის არაგვი და [გუდამაყრის არაგვი](#)) სიმაღლე - 8. დ. 2759 მ. აგებულია იურული და ცარცული ასაკის ფლიშური ნალექებით. კალთები შემოსილია შერეული ფართოფოთლოვანი ტყით, თხემური ნაწილი - სუბალპური და ალპური მდელოებით.

---